გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 141

2024 წლის 13 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სს „სილქნეტისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 16 მაისს (N 10/202413777-20) შემოსულია სს „სილქნეტის“ (ს/ნ 204566978) წერილი, რომელშიც 5 წლის ვადით, თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით მოთხოვნილია, 8 ერთეული გარე განათების ბოძის იჯარის ფორმით გადაცემა, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 13 აგვისტოს N258-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, ქ.გორში, 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 180,00 (ასოთხმოცი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.
გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ს/კ 66.00.803 ქონებიდან 7 (შვიდი) ერთეული გარე განათების ბოძი (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/ნ 204566978), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟის მიზნით.
2. ს/კ 66.00.803 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობიდან 7 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 180.00 (ასოთხმოცი) ლარით;
3. წლიური საიჯარო ქირა 7 (შვიდი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 420 (ოთხას ოცი) ლარის ოდენობით.
4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.
5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 7 (შვიდი) ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.
6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.
7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე



პირობითი ნიშნები

- საჰაერო ოპ-12
- დაშენებული კოლოფი
- ჭა საჭიროებს ნებართვას
- არსებული ჭა
- არსებული სატ. კანალიზაცია
- არსებული შემყვანი
- არსებული განათების ბოძი
- არსებული შუალედური ბოძი
- ნაკვეთი
- შენობა

185 მ ოპტიკური კაბელის მონტაჟი
8 ცალ არსებულ განათების ბოძზე

1:1000

1-2

გორი, ცხინვალის გზატკეცილი, 14-14ა,
ს/კ 66.45.07.905-ის მიმდებარედ

ჯგუფის უფროსი: ვახტანგ მურვანიძე

მეადგილე: ელენე კაზაკოვა

სახაზო ნაგებობები

სამონტაჟო ნახაზი

CRM ID:	ფურცლები	ვერ.
459440	1	1

მ.პ.ს. "ხერვის ნეტ ბრუპი"
ქ. თბილისი
4/25/2024